



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 07 დეკემბერი, 2022

სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი

ადგილმდებარეობა: დისტანციური (Zoom პლატფორმის გამოყენებით)

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, როინ მიგრიაული, თორნიკე ბაქრაძე, ციციხო ცხვედიანი, რაისა ლიპარტელიანი, ნათია კორკოტაძე და მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) მერაბი ტყეშელაშვილის, გვანცა ლომაიას, ქეთევან ყაჭიშვილის, თამთა ომარაშვილის, ნინო მოსიაშვილის, ირინა დათუნაშვილის, ანა აკოფოვას, ირაკლი კოძახიძის, მარიამ მაწიაშვილის, ლია ლემონჯავას, ვახტანგ რევაზიშვილის, ფიქრია გილაშვილის, ხატია ხუჯაძის და ალექო მამადაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მერაბი ტყემელაშვილის, გვანცა ლომიას, ქეთევან ყაჭეიშვილის, თამთა ომარაშვილის, ნინო მოსიაშვილის, ირინა დათუნაშვილის, ანა აკოფოვას, ირაკლი კოძახიძის, მარიამ მაწიაშვილის, ლია ლემონჯავას, ვახტანგ რევაზიშვილის, ფიქრია გილაშვილის, ხატია ხუჯაძის და ალექო მამადაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ნაზიბროლა შალუტაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნაზიბროლა შალუტაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

**საკითხი 2.** ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) თეა კუტალაძის, თეონა თაყაიშვილის, ლევან კაკაჩიას და გენადი მალაყმაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თეა კუტალაძის, თეონა თაყაიშვილის, ლევან კაკაჩიას და გენადი მალაყმაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ირინა დანელიას განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ირინა დანელიას მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან არ ერთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და არ არის შესაბამისობაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: (ა) ირინა დანელიას ხელახლა გაწევრიანების განცხადების განხილვა გადაიდოს შემდეგ სხდომაზე და განმცხადებელს დაევალოს ნასამართლობის შესახებ ცნობის წარმოდგენა.

(ბ) განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ზურაბ შენგელიას, ნელი ნადირაშვილის, ანა რუსიშვილის, მარიამ პერანიძის, ანა თოხაძის, ლიზა ჭრიკიშვილის, გიორგი ცატავას, თამარ ციხითათრიშვილის, სოფიო დემურაძის, ბექა ვირსალაძის, გვანცა შვანგირაძის, ეკა ბუჩუკურის, ნინო კუხიანიძის, ნინო კოტიშაძის, პეტრე კვიციანიას, გვანცა ლომიას, ირაკლი კოძახიძის, და გიორგი ბერიძის (9848) განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზურაბ შენგელიას, ნელი ნადირაშვილის, ანა რუსიშვილის, მარიამ პერანიძის, ანა თოხაძის, ლიზა ჭრიკიშვილის, გიორგი ცატავას, თამარ ციხითათრიშვილის, სოფიო დემურაძის, ბექა ვირსალაძის, გვანცა შვანგირაძის, ეკა ბუჩუკურის, ნინო კუხიანიძის, ნინო კოტიშაძის, პეტრე კვიციანიას, გვანცა ლომიას, ირაკლი კოძახიძის, და გიორგი ბერიძის (9848) განცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე.

#### საკითხი 4. 2022 წლის საერთო კრების თარიღის განსაზღვრა და დამტკიცება.

თავმჯდომარემ წევრებს აცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ასოციაციის საერთო საანგარიშო კრების მოწვევის თაობაზე და მიაწოდა ინფორმაცია საერთო კრების თარიღის, ადგილმდებარეობისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- (ა) ასოციაციის საერთო კრების მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 24 დეკემბერი;
- (ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილად განისაზღვროს სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი (მისამართი: ქალაქი თბილისი, თელავის ქუჩა N20).

#### საკითხი 5. 2022 წლის საერთო კრების დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცება.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო 2022 წლის 24 დეკემბრის საერთო კრების დღის წესრიგი და რეგლამენტი. წევრები გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ დღის წესრიგსა და რეგლამენტს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2022 წლის 24 დეკემბრის საერთო კრების დღის წესრიგი და რეგლამენტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

#### საკითხი 6. სამართლის დოქტორის, პროფესორ ოთარ გამყრელიძისათვის ადვოკატთა ასოციაციის “ლუარსაბ ანდრონიკაშვილის” ორდენის მინიჭების საკითხის განხილვა.

ასოციაციის თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული წახალისების ფორმებისა და წესის თაობაზე, რომელიც დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით და აღნიშნული წესის შესაბამისად ასოციაციის საერთო კრების მიერ არაერთ ადვოკატს, მათ შორის არაადვოკატ პირებს მიენიჭათ სხვადასხვა ჯილდოები.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, სამართლის დოქტორის, პროფესორ ოთარ გამყრელიძის 90 წლის იუბილის აღსანიშნავად, ასოციაციის საერთო კრებას წარედგინოს საკითხი - ქართული იურიდიული პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დამსახურებისთვის პროფესორ ოთარ გამყრელიძისათვის ასოციაციის “ლუარსაბ ანდრონიკაშვილის” ორდენის მინიჭების თაობაზე.

წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის პოზიცია და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის 2022 წლის 24 დეკემბერის საერთო კრებაზე განსახილველ საკითხთა შორის, დამტკიცდეს ქართული იურიდიული პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დამსახურებისთვის, სამართლის დოქტორის, პროფესორ ოთარ გამყრელიძისათვის ადვოკატთა ასოციაციის “ლუარსაბ ანდრონიკაშვილის” ორდენის მინიჭების საკითხი.

**საკითხი 7.** აკადემიკოს მინდია უგრეხელიძისათვის ადვოკატთა ასოციაციის “ლუარსაბ ანდრონიკაშვილის” ორდენის მინიჭების საკითხის განხილვა.

ასოციაციის თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული წახალისების ფორმებისა და წესის თაობაზე, რომელიც დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით და აღნიშნული წესის შესაბამისად ასოციაციის საერთო კრების მიერ არაერთ ადვოკატს, მათ შორის არაადვოკატ პირებს მიენიჭათ სხვადასხვა ჯილდოები.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, აკადემიკოს მინდია უგრეხელიძის 80 წლის იუბილის აღსანიშნავად, ასოციაციის საერთო კრებას წარედგინოს საკითხი - ქართული იურიდიული პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დამსახურებისთვის აკადემიკოს მინდია უგრეხელისათვის ასოციაციის “ლუარსაბ ანდრონიკაშვილის” ორდენის მინიჭების თაობაზე.

წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის პოზიცია და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის 2022 წლის 24 დეკემბერის საერთო კრებაზე განსახილველ საკითხთა შორის, დამტკიცდეს ქართული იურიდიული პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დამსახურებისთვის, აკადემიკოს მინდია უგრეხელისათვის ადვოკატთა ასოციაციის “ლუარსაბ ანდრონიკაშვილის” ორდენის მინიჭების საკითხი.

**საკითხი 8.** ხაშურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 31 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ბესიკ გონგლამის მიმართ.

წევრები გაეცნენ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 31 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ბესიკ გონგლამეს ჩამოერთვა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება 5 (ხუთი) წლის ვადით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ბესიკ გონგლამე ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდა 2007 წელს. მას, აღმასრულებელი საბჭოს 2008 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გამო, შეუწყდა ასოციაციის წევრობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:  
(ა) ცნობად იქნას მიღებული ხაშურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 31 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა წევრთა ერთიან რეესტრში დაევალოს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს.

**საკითხი 9.** სისხლის სამართლის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ბაჩუკი ყურაშვილის განცხადების განხილვა კომიტეტის წევრობის კანდიდატების დამტკიცების თაობაზე.

წევრები გაეცნენ სისხლის სამართლის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ბაჩუკი ყურაშვილის განცხადებას კომიტეტის წევრობის კანდიდატების დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:  
(ა) სისხლის სამართლის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული კომიტეტის წევრებად დამტკიცდნენ შემდეგი კანდიდატურები: იოსებ ჯანაშია, რევაზ მიქაია, იზა შანავა, სოსო ჯალაღონია, გონელი მარღანია, მანუჩარ ნაჭყებია, კახაბერ ტაბაღუა, ფატმან ბერაია და გოჩა კოკაია.

(ბ) მიღებული გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

**საკითხი 10.** ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ მამუკა მიროტაძის და რუსუდან ცერცვაძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:  
(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად მამუკა მიროტაძის და რუსუდან ცერცვაძის კანდიდატურები. (ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

## საკითხი 11. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ირაკლი ზაქარიაძის განცხადების განხილვა საწევრო დავალიანების გადავადების და წევრობის აღდგენის შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც რეგიონში საგადასახადო სამსახურში გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად რეგისტრირებული მოქმედი ადვოკატი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. ირაკლი ზაქარიაძეს, აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გამო, შეუწყდა ასოციაციის წევრობა. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ირაკლი ზაქარიაძის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან არ ერთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და არ არის შესაბამისობაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: 1. ირაკლი ზაქარიაძის წევრობის აღდგენის (ხელახლა გაწევრიანების) განცხადების განხილვა გადაიდოს შემდეგ სხდომაზე და განმცხადებელს დაევალოს ნასამართლობის შესახებ ცნობის წარმოდგენა.

2. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ბ) ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმების წესის განსაზღვრა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოს 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული წახალისების ფორმის მინიჭების წესის თაობაზე და განმარტა, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული წესის შეცვლა და სამართლიან კრიტერიუმებზე დაფუძნებული, დეტალური პროცედურული ვერსიის შემუშავება, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ წესს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული წახალისების ფორმის მინიჭების განახლებული წესის პროექტის შემუშავების მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: როინ მიგრიაული, ციციხო ცხვედიანი, თორნიკე ბაქრაძე, ნათია კორკოტაძე და სალომე ტყეშელაშვილი.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე